




საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



N 6

30/01/2019

6-07-4-201901301706



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №6

2019 წლის 30 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების
ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე
მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 139-ე მუხლის „ბ“ ნაწილისა და 140-ე მუხლის მე-
2 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული
შემოწმების ჩატარების მიზნით მოწვეულ იქნას აუდიტორი. შემოწმების პერიოდი
განისაზღვროს 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს აუდიტორის
მოწვევასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის
მოთხოვნათა დაცვით შესყიდვის პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან
ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული
საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო